საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 1

25.01.2023, 12 საათი
თბილისი, თსუ I კორპუსი, აუდ. N 115

**სხდომას ესწრებოდნენ:** ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, დემეტრაშვილი დემური, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ნადარეიშვილი ვახტანგ, სალუქვაძე იოსებ, ქადეიშვილი თორნიკე, ხუციშვილი ქეთევან, შალიკაშვილი მორის, ჭედია როინ, ჯობავა თამარ.

**დღის წესრიგი:**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **გია არგანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნათია იაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ შენგელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **რუსუდან ჩალაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ დოქტორანტ **გვანცა სალუქვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ლელა გულედანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ამირან მაღლაკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის

დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ქრისტინე უგლავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

9. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარიამ კაკაბაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

10. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო ტურაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

11. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გრიგოლ მოდებაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

12. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ლია ოტიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

13. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ნინო ჩხაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **გია არგანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა თამარ პაიჭაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერება (მე-19 საუკუნის პირველი

ნახევარი)“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 9-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევაა.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გია არგანაშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნათია იაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, ფილოლოგიის დოქტორმა ნათია ამირეჯიბმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დოქტორანტი გარდა მხატვრული თარგმანისა, ასრულებს დარგობრივ, იურიდიული ტექსტების თარგმანს, ვინაიდან მუშაობს ინტერპოლში. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ საინტერესო ნაშრომია.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნათია იაშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ შენგელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესი და კრეატინით მისი პრევენციის მექანიზმი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი, თუმცა ერთი ბიულეტინი ბათილად იქნა ცნობილი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 93 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტი თუ აგრძელებს კვლევით მუშაობას?

**მოისმინეს:** დ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მარიამ შენგელია აგრძელებს კვლევას და ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც, ის თსუ-ს მოწვეული ლექტორია.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მარიამ შენგელიასთვის** ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს აცნობა, რომ არ გამოცხადდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **რუსუდან ჩალაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი და საკითხის განხილვა ვერ მოხდება.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე **რუსუდან ჩალაძისთვის** ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი

გეოგრაფია“ დოქტორანტ **გვანცა სალუქვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა ია იაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური დარგების ურთიერთკავშირის გეოგრაფიული და სექტორული ასპექტები: საქართველოს მთიანი რეგიონების მაგალითი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტს ჰყავდა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სამეცნიერო ხელმძღვანელი. გ. სალუქვაძემ დისერტაციის ნაწილი შეასრულა. მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა უცხო ქვეყნის კვლევითი ცენტრით.

**მოისმინეს:** ი. იაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტმა კვლევა ჩაატარა შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში.

**მოისმინეს:** ი. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტი გვანცა სალუქვაძე მისი ძმის შვილია და შესაბამისად არ მიიღებს მონაწილეობას ხმის მიცემისას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს 13 წევრის მიერ; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ი. სალუქვაძემ.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გვანცა სალუქვაძისთვის** საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ლელა გულედანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა შოთა ვეშაპიძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი ხელშეწყობის სისტემა საქართველოში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 10 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლელა გულედანისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ამირან მაღლაკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, თსუ ასოც. პროფესორმა ეკა ლეკაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 94 ქულით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ამირან მაღლაკელიძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ქრისტინე უგლავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ეკა ლეკაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება და მისი ადგილი მდგრად განვითარებაში" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; აღნიშნა, რომ დოქტორანტი

გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, სადაც შეისწავლა ლოკალური თვითმმართველი ორგანოები; ის ასევე ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას, მუშაობს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში და შესაბამისად, ჩართულია ამ პროგრამების შემუშავებაში. მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 9 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ქრისტინე უგლავასთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარიამ კაკაბაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ვლადიმერ მარგველაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ენის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის მკურნალობა წამლის ლოკალური მიწოდების სისტემის გამოყენებით ცხოველებში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა, თუ სად შესრულდა კვლევის ექსპერიმენტული ნაწილი?

**მოისმინეს:** ვ. მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ შესრულდა მორფოლოგიის ინსტიტუტში.

**აზრი გამოთქვა:** ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ესწრებოდა დისერტაციის აპრობაციასაც და დაცვასაც. წარმოდგენილია საკმაოდ ღირებული ნაშრომი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მარიამ კაკაბაძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო ტურაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მედიცინის დოქტორმა ლალი ნიკოლეიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი და ვიტამინი D“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან აღნიშნა, რომ დოქტორანტი არის კლინიცისტი. მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 94 ქულით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ტურაშვილისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გრიგოლ მოდებაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად დამდგარი ზარალის შეფასება და ადმინისტრირება (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი).

**აზრი გამოთქვა:** ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები აკმაყოფილებენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გრიგოლ მოდებაძის**

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) გივი ბედიანაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) დავით დარსაველიძე - ეკონომიკის დოქტორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) თემურ ბერიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) ანზორ აბრალავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) თამარ ათანელიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ზ) გულნაზ ერქომაიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

თ) იოსებ არჩვაძე - ეკონომიკის დოქტორი;

ი) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) მარინა ნაცვალაძე- თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) მიხეილ ჩიკვილაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

მ) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) რუსუდან სირბილაძე- თსუ ასისტენტ- პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ლია ოტიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სიმსუქნის კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებები სასკოლო ასაკის ბავშვთა პოპულაციაში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლიანა ჟორჟოლიანი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის ასოცირებული პროფესორი).

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ლია ოტიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) ირაკლი ფავლენიშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის მიმართულების ნეონატოლოგიური დეპარტამენტის პროფესორი;

ბ) მაია ხერხეულიძე - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) რუსუდან ქარსელაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის პროფესორი;

ბ) გიორგი ჩახუნაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბავშვთა ახალი კლინიკის პედიატრი კონსულტანტი;

გ) ჯენარო ქრისტესაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგია-რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

დ) ქეთევან ბარაბაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ე) მაია ჩხაიძე - მედიცინის დოქტორი, უნივერსიტეტ "გეომედის" პედიატრიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ვ) ნანი ყავლაშვილი - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ზ) თამარ გოთუა - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის მიმართულების ნეონატოლოგიური დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

თ) ლალი საგინაძე - მედიცინის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორი;

ი) ეკა კანდელაკი - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო მედიცინისა და პედიატრიული დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ნინო ჩხაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ტრავმატიზმის ეპიდემიოლოგიისა და ავადობის ტვირთის შეფასება საქართველოში, საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მაგალითზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო ჩიხლაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამედიცინო ეთიკისა და ჯანმრთელობის სოციოლოგიის კათედრის პროფესორი; მაია კერესელიძე - მედიცინის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი).

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ნინო ჩხაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) ლელა სტურუა - მედიცინის დოქტორი, თბილისის სამედიცინო აკადემიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის პროფესორი;

ბ) ნინო ლომია - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა)ნატა ყაზახაშვილი - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის პროფესორი;

ბ) ლაშა ლორია - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

გ) ნინო შარაშიძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების კათედრის პროფესორი;

დ) გიორგი ლომიძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი;

ე) გიორგი ბახტურიძე - მედიცინის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

ვ) სიმონ გელაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;

ზ) ნიკოლოზ ავაზაშვილი - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი